საქართველო

მირიან მეფის დროს

ხომხის მეფის ვაჭარშაკ პირველის ძის ხოსრო დიდის დროს (187—232 წ.) და, ქართლის-ცხოვრების თქმით, უკანასკნელის საქართველოს არშაკიდის ასფაგურის მეფობაში სპარსეთში მოხდა ცვლილება: არშაკიდები დაეცნენ და იმათი ადგილი დაიჭირეს სასსანიდებმა. ამ ახალის დინასტიის დამფუძნებელი იყო არტაქსერქსი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთ უფროსის ბაბეკის შვილი და სასსანის შვილის-შვილი. არდაშირი შეითვისა სპარსეთის სპასალარმა და შემდეგ იმისს მოადგილედ დაჯდა. იტყვიან, ვითომც ერთხელ იმას ანგელოზმა ჩვენებაში უთხრა: «მოწყალების მომნიჭებელს უბოძებია შენთვის მფლობელობა ხმელეთისა და იმისს მცხოვრებთა». არდაშირმა განიზრახა აღსრულებაში მოეყვანა სიზმრისა. იმისმა მაღალმა მოხელეობამ და სპარსეთის მეფის არტაბანის სისუსტემ შეუმსუბუქეს იმას პლანის აღსრულება. სამს შებრძოლებაში 223 და 226 წელს არდაშირმა სრულებით დაამხო პართიიდამ შემოსული არშაკიდის დინასტი, და დაამყარა სპარსეთში სასსანიდების სახლი 1). არშაკიდები ჰფლობდნენ სპარსეთს 482 წელს, 256 წლიდამ ქრისტეს მოსვლამდე ვიდრე 226 წლამდე ქრისტეს შემდეგ; სასსანიდები მეფობდნენ არშა-

---

Notice chronologique de la Perse, depuis les temps les plus recullés jusqu' a ce jour par L. Lanqlès: Voyage de Chevalier chardin en Perse et autres lieux del' Orient. Paris 1811, t. x, p. 172—173. Lebeau, Hist. dn B—Emp· I, 77.

კიდებზე ნაკლებ, ესე იგი 426 წელს. ისინი იეზდეგერ მესამის-მეფობაში, 652 წელს დასცა ომარ ხალიფის სპასალარმა საჭადმა 1). ამ დინასტიის თვისება და ცხოვრება დიად შესანიშნავია: ზოგნი სას-სანიდნი არიან ცნობილნი სწავლა-ხელოვნებით. არდაშირი იყო განვი-თარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სხვა თხზულებათ გარდა კარნამე ანუ «განმარტება თავისის ცხოვრებისა და მოქმედები-სა»—და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე 2). მეოთხე სასსანიდი ბარამ პირ-ველი იყო მეჯინიბობის მოყვარე და პირუტყვთ ექიმობაში დახელო-ვნებული 3). ხოსრო ნუშირვანმა მეექვსეს საუკუნეში გამოსცა მეო-რედ არდაშირის თხზულება ზნეობაზე 4); იმისს დროსვე გავრცელ-და სპარსეთში ინდოეთიდამ შემოტანილი, სანსკრიტულს ენაზე შე-დგენილი, ზღაპართ-კრება ქოლეილაჯ-ვე დიმნაჯ, ანუ ჩვენებურად ქი-ლილა—დამანა, გადაღებული მრავალს აზიურს და ევროპიულს ენაზე და თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ დედოფლის დროს და შემ-დეგ ვახტან მეექვსისაგან და საბა ორბელიანისაგან 5). სასსანიდები განითქვნენ არხიტექტურის ნაწარმოებით: იმათი დედა-ქალაქი მადაინი, კტეზიფონის მახლობლად და კტეზიფონის არე-მარე, ბუნებით შემ-კულს მხარეში, ევფრატის კიდეებზე, მოფენილი იყო გასაოცარის მე-გლებით. აქ იულიანე იმპერატორის გალაშქრების დროს სპარსეთზე, რომაელებმა ანუ ვიზანტიელებმა ჰპოვეს ტურფად ბერძნულის სკულ-პტურით შემოსილი შენობაები, ვრცელი მტილები და დიდ-მშვენიე-

1) Mém. sur l' Arm. I, 335.

2) Notice chron.... p. 173.

3) Ibid. p. 174.

4) Ibid. p. 173.

5) Ibid. p. 179 Hist. de la Géor. I, 393 n. 3., II, 2 livr., p. 112 n. 2.

რი პარკები, სადაც შემწყვდეულნი იყვნენ ლომები, დათვები და სხვა და სხვა მრავალ-გვარი მძვინვარე მხეცები და სადაც დროითა დრომდე სასსანიდები ნადირობით ჰსიამოვნებდნენ 1). ამ გვარმა სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა ვერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თითქმის მთელის დინასტიის ხასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრით, როგორათაც შინათ, აგრეთვე გარეთ. ხშირად მოხდებოდა, რომ შვილი ავიდოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მიზეზი, რომ ოც და თუთხმეტს სასსანიდების წევრთ რიცხვში ხანგრძლივ მეფობდნენ მხოლოდ შვიდნი, ესე იგი, — შაბური პირველი, შაბური მეორე, იეზდეგერდი პირველი, ჰორმუზდი, ფეროზი, ჰორმუზდი მესამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასსანიდების წარმომადგენელი იეზდეგერდი მესამე. სასსანიდები გულ-მხურვალედ ემონავებოდნენ იმათის წინაპარის დროდამვე ზოროასტრის აღსარებას ანუ ცეცხლის თაყვანისცემას, როგორც ამას გვიმოწმებს, სხვათა შორის, სასსანიდების მანეთები, რომლებზედაც გამოხატულია ამ სარწმუნოების სიმვოლო (pyrée) და იმისის თაყვანისმცემლების სურათი 2). დიდი გავლენა ჰქონდათ იმაზე მოგვებს, რომელთაც ეჭირათ გამოჩენილი ადგილი თვით სასახლეში 3). სასსანიდები ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მოგვთ აღსარება დაემყარებინათ ყველგან. ისინი სდევნიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, რომელიც იმათ დროს მოეფინა მცირე-აზიაში, სომხეთში, საქართველოში და აგრეთვე სპარსე-

1) Lebeau, Hist. du B—Emp. III, 103—106.

2) Revue de numismatique géorgienne par Brosset, 1847. SPB. p. 28—29.

3) Lebeau, Hist. du B—Emp. III, 294 ps n. 2.

თში 1). ამასთანავე ისინი უშიშრად და ურყეველად ცდილობდნენ თავიანთის საზღვრების გავრცელებას და უცხო-ტომთ დამონავებას. ისინი სანგრძლივ ებრძოდნენ ჯერ რომაელებს, მასუკან, როდესაც რომი დაეცა, ვიზანტიელებს, როგორათაც სომხეთშიც და საქართველოში, აგრეთვე აზიაში. ბედ-კრული სომხეთი იმათის ხელით დაიმსო და დაიგლიჯა 2) საქართველოს ეს უბედურება არ ეწვია, თუმც ამ განზრახვით სასსანიდები მთელის საუკუნის განმავლობაში (455—560 წ.) სასტიკად ებრძოდნენ ვიზანტიას, საქართველოს დასავლეთს მხარეებში, ანუ ვიზანტიელების ლაზიკაში.

მიუბრუნდეთ ისევ არდაშირს და იმისს დროს. სასსანიდების უფლების დამყარების გზაზე არდაშირი დიდს დაბრკოლებას მიაწყდა. პირველს იმისს მოწინააღმდეგედ აღმოჩნდა არტამანის ნათესავი, სომხის მეფე ხოსრო დიდი, შვილი ვაჭარშაკისა, რომელიც დერბენდის მახლობლად მოკლულ იქნა ბრძოლაში ხაზარებთან და რომლის სიკვდილიც ხოსრო დიდმა იზღვია იმით, რომ შემდეგ ტახტზე ასვლისა იმან განვლო კავკასიის დიდის ჯარით და თვით ხაზარეთში შეჰმუსრა იმათი ძალა. სცნა თუ არა არდაშირის გალაშქრება არტაბანზე ხოსრომ მაშინვე მიჰმართა თავისის ჯარით სპარსეთის შერყეულს ტახტს. ასსირიის საზღვარზე იმან შეიტყო არტაბანის ძლევა და სიკვდილი. ის უკუ-იქცა სომხეთში, სადაც შემოჰკრიბა სპები, გამოითხოვა რომის შემწეობა და ისევ სპარსეთისკენ გაემგზავრა. ასსირიაში იმან გაფანტა ყველა მომხრენი არდაშირისა და შემდეგ შიგ სპარსეთის შუა-გულად შევიდა; მაგრამ რადგანაც სხვა და სხვა არშა-

1) Ibid. I, 331 ps n 1, 332. III, 363—366. Addit. et 'Eclairsis. a l' Hist. de lé Géor. 67 დაშემდეგი.

2) Lebeau, Hist. du B—Emp. IV, 429—432.

კიდების ნათესავის წევრთ ხოსროს უმუხთლეს, ბაქტრიის არშაკიდე-
ბის გარდა, ამისგამო ხოსრო უნდა დაბრუნებულიყო თავისს სამფლო-
ბელოში. გარდა ამისა რომში ასტყდა შფოთი და აღრეულობა, რო-
მელმაც რომაელების ჯარი სომხეთით მიიხმო. ხოსრომ მაინც იმე-
დი არ დაკარგა, იმას მისცეს შემწეობა ეგვიპტემ, პონტომ და «ჩრ-
დილო-ტომებმა». იმან კიდევაც სძლია სპარსეთის ძალას და დაიჭირა
ასსირია და თვით არდაშირს სდია ინდოეთის საზღვრამდე 1). შემ-
დეგ ამ წარმატებისა, როდესაც ხოსრო სომხეთში კვლავ ემზადებო-
და ახალის ჯარით გალაშქრებას არდაშირზე, ის მოკლულ იქნა სო-
მხეთში ღალატით თავისისავე ტომ-ნათესავისაგან ანაგისაგან, რომე-
ლიც არდაშირისაგან იყო მოსყიდული. ანაგმა არა თუ სარგებლობა
ვერა ნახარა ხოსროს სიკვდილით, არამედ თვით იმასაც მოელო ბო-
ლო ხოსროს მომხრეთ ხელით და მთელი იმისი სახლი ამოწყვე-
ტილ იქნა. გადარჩნენ მხოლოდ ორნი ანაგის შვილნი; ერთი იმათ-
განი იდუმალ გაიყვანეს კაპპადოკიის კესარიაში, სადაც ის გამოიზარ-
და და განისწავლა. ის იყო გრიგოლ, რომელმაც ხოსროს შვილის
თირდატის დროს სომხეთში ქრისტიანობა შეიტანა და ამისგამო სომ-
ხეთის განმანათლებლად სახელ—იწოდა- 2).

ხოსროს სიკვდილმა ყოველივე არდაშირის შიში და დამაბრკო-
ლებელი შემთხვევა მოსპო. არდაშირმა მოჰფინა თავისი მფლობელო-
ბა სპარსეთში და დაიმონავა სომხეთი, რომელსაც 27 წლის განმავ-
ლობაში თავისუფლად განაგებდნენ არდაშირი და იმისი შვილი შაბუ-
რი პირველი. ხოსროს დარჩა შვილი თირტადი, რომელიც არტავაზ
მანტაგუნიმ სიყრმითვე გააპარა რომში და აღზარდა იქ. თირდატმა
232-ს წელს რომაელების ჯარის შემწეობით სძლია სპარსებს და და-

1) *Исторія Арменіи Моисея Хоренс., стр. 139, 140.*
2) Mém. sur l. Arm. I, p. 301—303.

ჯდა სომხეთის ტახტზე. სომხეთის მთავარნი თავისის ძალით მიეგებნენ იმას. იმის დროს შემოვიდა ჩინეთიდამ სომხეთში მამიკონიანთ სახლი და აგრეთვე მიემხრო თირდატს. არტავაზ მანტაგუნი შეიქნა სომხეთის სპასალარად, რომელმაც დიდი შემწეობა მიაგო თავისს მეფეს. თუმცა სპარსეთის მეფე იძლია თირდატისაგან, მაგრამ ის მაინც იმედოვნებდა სომხეთის დამონავებას. ამ აზრით, თირდატის ყოფნის დროს რომში, ის დაეცა სომხეთს, კავკასიის მთას-იქით მცხოვრებთ შემწეობით და აგრეთვე შემძლე სომხეთის გვარის სალგუნიანის მიმხრობით. სპარსეთის მეფემ სომხეთი ისევ ხელში ჩაიგდო. თირდატი გამოვიდა რომიდამ, რომაელების ჯარით მხლებელი შევიდა სომხეთში, განდევნა სპარსნი და მამიკონის ხელით აოტნა სალგუნიანთ გვარი და იმისი ვრცელი სამფლობელო თვით მამიკონს უბოძა. თირდატმა გაიმარჯვა დიდს ომში «ჩრდილო-ტომებზე» და ისინი ისევ კავკასზს იქით გადაიფანტა. ამ ომში მოიკლა არტავაზ მანტაგუნი. შემდეგ ამისა დაეცნენ სპარსეთს—ადარბეგანის მხრით თირდატი, სამხრეთით—რომაელნი. თირდატი შევიდა თვით სპარსეთის შუა-გულს, რამდენჯერმე დაამარცხა სპარსნი და უკუ-იქცა დიდის ნატყვენავით 1).

ისტორია მიაწერს თირდატ მეფეს ზოგიერთს ცვლილებას სომხეთის შინაგანს განმგეობაში. სტეფანე ორბელიანის თქმით თირდატმა დაამყარა აქ სახელმწიფო წესდება საბერძნეთის მიბაძვით; იმან დასდო რიგი სხდომისა მთავარიათვის, მარჯვნივ და მარცხნივ, თვითოეულის ღირსებისამებრ; დასდო აგრეთვე რიგი ჯდომისა და მუთაქების ნადიმობის დროს, 400 თავადთათვის, რომელთ შორისაც უპირა-

1) Mém. snr l' Arm. I, 303 – 305,412. *Моисея Хоренск. Ист. Арм. 143—151.*

ტესობდნენ: ბდეშხი გუგარკისა და მთავარნი არძრუნიკისა, სიუნისა და მამიკონაები. ესენი იყვნენ სომხეთის უაღმატებულესნი თავადნი. რაიც შეეხება მხარეს და იმისს სჳათ, მთელს სამეფოში მხოლოდ ოთხნი იყვნენ უახლოესნი მეფის ბძანების აღმასრულებელნი: აღმოსავლეთით სიუნის მთავარი 22 თავადითურთ; ჩრდილოეთით—ბდეშხი გუგარკისა 22 თავადითურთ; დასავლეთით—მთავარი კორდუკისა 21 თავადითურთ; სამხრეთით მთავარი ანგეგ-თუნისა 22 თავადითურთ» 1). თირდატის მეფობა უფრო იმითია შესანიშნავი, რომ იმისს დროს სომხეთში დაფუძნდა ქრისტეს სარწმუნოება. უწინ აქ, როგორათაც ყველგან, გავრცელებული იყო კერპთ-თაყვანის—ცემა. რა გვარი იყო ეს სარწმუნოება, რა ღმერთებს სცემდნენ აქ თაყვანს, ეს ჩვენ მოვიხსენეთ 2). სომხის ისტორიის განვითარებით მცოდნეს სენ-მარტენს შეუნიშნავს, რომ, როგორც ამას ეგნევი მოიხსენებსო, ვიდრე იმპერატორი კონსტანტინე ქრისტეს აღსარებას მიიღებდაო, ქრისტიანობა გავრცელებული იყოო სომხეთში, რომ სომხეთი შეადგენსო იმ მხარეს, სადაც სახარება სხვა მხარეებზე ადრე დამყარებულაო 3). მართლა და სომხურის წყაროების მოწმობით, აქ პირველად ირწმუნეს ქრისტე იესო, თადეოს მახარებელის ქადაგებით, მაცხოვრისავე თანამედროემ ედესსის მეფემ აბგარმა და ედესსის სომხებმა; მასუკან ნათელ-იღეს ბართოლომე მოციქულის ხელით სიუნიელებმა და ალოვანელებმა 4). ისინი უჩვენებენ აქ ადგილ-ადგილ პირველ — დროდამვე ეკ-

1) Hist. de la Siounie, I. 15.

2) «მნათობი», აგვისტო, გვ. 14—17.

3) Lebeau, Hist. de B—Emr. I, 76.

4) ალოვანელნი ანუ სტრაბონის ალვანელნი მკვიდრობდნენ ივრის მდინარიდამ მოყოლებული დერბენტამდე და მტკვრის სამხრეთამდე. შემდეგ ალოვანელნი მტკვარს გაღმაც გავრცელდნენ, ესე იგი ყარაბა-

კლესიებს, უდაბნოებს და ეპისკოპოზებს, რომელნიც ახალს სამწყსოებს განაგებდნენ. შემდეგ, როდესაც ავგარ მეფის შტო აღმოიფხვრა, სომხეთში ქრისტიანობა შემცირდა და შესუსტდა ვიდრე თირდატ მეფემდე. თირდატი მოაქცია გრიგოლ-განმანათლებელმა. თირდატის მიბაძვით ნათელ-იღო მომატებულმა უმთავრესთ პირთ ნაწილმა და თვით ხალხმაც. პირველი მასწავებელი სომხეთისა გრიგოლ შეიქმნა პირველსავე სომხეთის ეპისკოპოზად, რომელმაც მიიღო ხელ-დასხმა კაპპადოკიის კესარიაში, სადაც თვით იმისნი მოადგილენი მიიღებდნენ ამ წელ—დასხმას, ორის საუკუნის განმავლობაში. იმან მოიწვია მრავალნი მოძღვარნი ბერძენთა და სირიელთაგანნი, და იმათის შემწეობით დააფუძნა საეპისკოპოზო კათედრები, მონასტრები და ეკკლესიები და მოჰფინა ახალი მცნება მთელს სომხეთის სივრცეზე. «უძნელი საქმეა, იტყვის სენ-მარტენი, რომ ვიდრე ქრისტიანობა გავრცელდებოდა სომხეთში სასტიკი ბრძოლა უნდა ატეხილიყო აქ, მეტადრე დარონის მხარეში, სადაც მოფენილი იყო წარმართ ტაძრები. აქ კერპთ თაყვანის-მცემელთ მღვდლებმა დიდი წინააღმდეგობა აღმოაჩინეს, ასე, რომ საჭიროებამ მოითხოვა მახვილის მოხმარება იმათის განდევნისათვის». შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა კონსტანტინესაგან და იმისის გავრცელებისა რომის იმპერიაში ძველი კავშირი სომხეთისა რომთან უფრო დამტკიცდა. მაგრამ ამასთანავე ამ შემთხვევამ მომატებულად აღძრა მტრობა სომხებთან სპარსეთის მეფეებში. ეს იყო მიზეზი, რომ სომხეთში ასტეხეს იმათ შინაური სარწმუნოებრივი შფოთი და განხეთქილობა. ამ საქმეში იმათ შემწეობას აძლევდნენ სომხის თავადნი, რომელთაც არ ისურვეს მამა-პაპურის აღსარების უა-

---

ლის ვაკე-მინდვრებში, რომელსაც შეადგენდნენ სომხეთის მაზრები არცახი, უტი და ფაითაკარანი. ხიუნი მდებარებდა გოქჩასა, არაქსსა და ალოვანს შორის (Hist. de la Siounie, I; p. 8 n. 1).

რის-ყოფა და რომელნიც თავიანთს მეფეებს უმზერდნენ, როგორათაც სჯულის მოღალატეებს 1).

ცნობანი, რომელნიც ამ დროს სპარსეთს და სომხებს შეეხებიან, მოყვანილნი არიან ქართლის-ცხოვრებაში: ის უჩვენებს თვით იმათს წყაროებს. სპარსეთის ცხოვრებას 2), და სომხეთის ცხოვრებას 3), საიდამაც ზოგიერთი შემთხვევა თითქმის სიტყვა სიტყვით არის გა-მოწერილი 4). თვით ბერძნულის წყაროდამაც უსარგებლია ჩვენ მა-ტიანეს 5). ამას ამტკიცებს ზოგიერთი სახელ-წოდება ბერძნულის ფორმით, მაგალ. კოსაროს 6), რომელიც ყოველთვის ასეა ხმარებული 7). ამ ჟამის ქრონოლოგია ქართლის-ცხოვრებაში მეტად არეულია. მირიანის წინა-მოადგილე ასფაგური, რომლის დროსაც, იმისის თქმით, არდაშირი სასანიდი ჰფლობდა სპარსეთს, მეფობდა საქართველოში 262 წლიდამ—265-მდე, მაშინ როდესაც დაჭე-შმარიტებით ვიცით, რომ არდაშირი მეფობდა 226—235-ამდე, მა-შასადამე არდაშირი მოკვდა 26 წლით ადრე ასფაგურის ტახტზე ასვლისა. მირიანი მეფობდა 265—342-მდე. ამ დროს განმავლობაში მეფობდნენ: სპარსეთში—რვა მეფე: არდაშირის შვილი შაბური პირ-

---

1) Hist. de la Siounie, I, 8—17. Mém sur l' Arm. I, 291 n. I., 306—307.

2) ქართ-ცხ. გვ. 57.

3) იქვე, გვ. 63.

4) იქვე, გვ. 58 *Моис. Хор. Ист. Арм. стр. 141.* Hist. de la Géor I, 94 n. I.

5) ქართლ-ცხ. გვ. 63.

6) ხოსრო სომხეთის მეფე.

7) Hist. de la Geor. I, 79 n. 2.

კელიდამ დაწყობით ვიდრე შაბურ მეორემდე; რომში — 31 იმპერატორი, იმათ რიცხვში კონსტანტინე დიდი და იმისი ძე კონსტანსი; სომხეთში — თირდატ 2, დირანი 2 და არშაკი 3. საკვირველია, რომ უცხო-ტომთ მატიანენი მირიანს იშვიათად მოიხსენებენ. სომხის მწერალი მოსე ხორენელი უჩვენებს იმას თირდატის დროს. მოსეს თქმით, იბერიის გამგე მიჰრანი მოქცეულ იქმნა ქრისტეს სჯულზე ნუნეს ხელით, და იყო ერთი თირდატის ჯვარის-უფროსთაგანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა თირდატის ბრძოლაში «ჩრდილო-ტომებთან» 1). რომას მწერალი ამმიანე მარცელინე ამბობს: როდესაც იმპერატორი კონსტანსი საომრად ემზადებოდა სპარსეთთან, მაშინ იმან უხვის საჩუქრით მოსთხოვა მონაწილეობის მიღება ამ ომში სომხის მეფეს არშაკს და იბერიის მეფეს მერიბანესს. ეს იყო 361 წელს, მაშინ როდესაც ქართლის-ცხოვრებით საქართველოს ჰფლობდა მირიანის შვილი ბაქარ პირველი 2). ქართლის-ცხოვრების ნაამბობი უცხო-ტომთ ნაამბობს ზოგნი ეთანხმება, ზოგნი არა. პირველს სასსანიდს არდაშირს ის უწოდს ქასრედ და ამ სახელით სახელ-სდებს «იმისის ძიდამ» მირიანიდამ დაწყობილი, მთელს საქართველოს დინასტიას ხოსროიანებად ანუ ხოსროიდებად 3). არდაშირს ქასრედ უცხო-ტომთ მწერალნი არ მოიხსენებენ, მაგრამ ეს-კია, რომ სპარსეთის თქმულება ზოგიერთ სასსანიდების დინასტიის წევრთ უწოდს კესრად 4). ქარ-

---

1) *Исторія Арменіи, стр. 151, 152*. Hist. be la Géor. I, 88 n. 5.

2) Hist. de la Géor. I, 134 n. 3. Lebeau, Hist. du B—Emp. II, 353.

3) ქართ.-ცხ. გვ. 57, 60.

4) Notice chronologique Langlès. Uoyage de Charden, x. 111, 183. Revue numism. Broset, p. 17.

თლის ცხოვრებით ქართველების ასფაგური და სომხების კოსაროსი ერთად ებრძვიან არდაშირს და ასფაგური მოიწვევს ოსებს, ლეკებს და ხაზარებს, სდევნიან არდაშირს, შედიან სპარსეთში და აოხრებენ სპარსეთს 1). შემდეგ ამისა, როდესაც «ხოსრო მეფე განმზადებულ იყო კვალად შესვლად სპარსეთს, იმისმა ნათესავმა, წარჩინებულმა მთავარმა, სახელად ანაკ, ქასრესაგან მოსყიდულმა, და ძმამან მისმან, მოკლეს მახვილით ნადირობის დროს მეფე და ივლტოდეს; ხოლო დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა და მოკლეს იგინი და მოსრეს ყოველი ნათესავი მათი, თვინიერ დაშთეს ორნი შვილნი მათნი, რომელნიცა აღისვნეს მამა-ძმუქეთა მათთა; ერთი შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და მეორე საზღვართა სპარსეთისათა» 2). აქ მოხსენებული ძე ანაკისა იყო გრიგოლ განმანათლებელი. მოსე ქორენელის სიტყვით ანაკს ჰყვანდა მხოლოდ ერთი შვილი გრიგოლი კესარიაში გაყვანილი, ჩამჩიანის თქმით კი-ორი გრიგოლი და სურენი სპარსეთში განვლტოლილი 3). კოსაროს სიკვდილის შემდეგ ქასრე სასანიანმა «პირველად დაიპყრა სომხითი, მოსრა და ტყვეჰყო ყოველი ნათესავი სომეხთა მეფისა; ხოლო ერთი ძე კოსაროს მეფისა, მცირე ყრმა, შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა და მუნ იზრდებოდა, რომელსაც ერქვა თრდათ, შემდეგ შემოვიდა ქართლად. ხოლო ასფაგურ წარვიდა ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა ცისე-ქალაქნი; მუნ ეწია სიკვდილი და აღესრულა» 4).

---

1) ქართ.-ცხ. გვ. 57.

2) ქარ.-ცხ. გვ. 58.

3) *История Арменіи Моисея Хоренск. стр. 141.* Hist. de la Géor. I. 82 n. 1.

4, ქართ.-ცხ. 58—59.

«ასფაგურს არა ესუა მე—განაგრძნობს ქართლის-ცხოვრება,— არამედ ასული ერთი; შეკრიბეს ყოველნი ერის-თავნი ქართლისანი მცხეთისა ქალაქსა, სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მაიჯან. ზრახვა ჰყვეს რათა ექმნეს ღონე ჭირთა და განსაცდელთა მათთათვის. მაშინ სთქვა მაიჯან სპასპეტმა....» მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, რომელსა ეკიდა სამეფო ჩვენი, და აღუღია პირი თვისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქვეყანისა ჩვენისა. არავინ არს ჩვენთან წინააღდგომი მისი, და დარჩომილა ერი ჩვენი ობლად. მივაგებოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან მე მისი მეფედ ჩვენდა და ვევედრნეთ, რათა შერთოს ცოლად მეს მისსა ასული ასფაგურისა, და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩვენთასა, და არა აღრევა ჩვენთანა სპარსთა, და წარჩინებულად პირობა ჩვენი.... მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერის-თავნი ზრახვასა მაიჯან სპასპეტისასა და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, და მოახსენეს ესე ყოველი. ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიგრძე მისი, და მახლობლობა საზართა და ოვსთა; და კვალად გამოიკითხა გვარი ასფაგურისა ასულისა, და უთხრეს ნათესავობა ნებროთიანთა და არშაკუნიანთა და ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა, და თვითცა უკვე გამოარჩია მცხეთას დასვმა მისა თვისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისა და რანისა და მის კერძისა უფროსად და უმაგრეს გამოარჩია და მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა ბრძოდეს მათ მუნით, და იპყრობდეს ყოველთა კავკასიათა. აღესრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა და მოვიდა მცხეთას, და მიეგება მაიჯან სპასპეტი და ყოველნი ერის-თავნი ქართლისანი. შერთო სპარსთა მეფემან ქასრე ასული ასფაგურ მეფი-

სა ძესა თვისსა. რომელი მუნ თანა-ჰყვა, შვიდისა წლისა, ნაშობი მხევლისა, რომელსა ერქვა სპარსულად მიჰრან და ქართულად მირიან, დასვა იგი მეფედ მცხეთას, მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. თანა-ჰყვა დედა მირიანისა, და არა დაუტევა იგი მირიანისთანა, რამეთუ უყვარდა იგი, ვითარცა თავი თვისი, არამედ დაუტევა მამა-მძუძედ და გამგებელად წარჩინებული მირვანოზ, და დაუტევა ორმოცი ათასი მხედარი სპარსი რჩეული და არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი, ფიცისა მისთვის, რომელ ფუცებულ იყო ქართველთად, არამედ დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს. უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი შვიდი ათ-ასი რჩეული მხედარი ყოვლად ქალაქსა შინა იპყრან მცველად ძისა მისისა. და ესრედ დაეზავა ქართველთა, რათა კარნი და ციხენი და ქალაქნი ყოველნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა, და სხვა სიმრავლე სპარსთა არა იყოს ქვეყანასა შინა ქართლისასა აღრეულად. «და იყოს შვილი ესე ჩემი ორსავე სჯულსა ზედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის-მსახურებასა და თქვენთა კერპთასა», რამეთუ პირველვე ამასცა ზედა მოეცა ფიცი.—და წარვიდა ქასრე მეფე, წარუსვნა და დაიმორჩილნა ყოველნი ხევნი კავკასიანთანი და დასხნა ყოველგან მთავარნი, და დაუბრძანა მათ ყოველთა, რათა იყვნეს მორჩილ ძისა მისისა მირიანისა, და უბრძანა მირიანს და მამა-მძუძესა მისსა მირვანოზს, რათა ბრძოდიან საზღვართა, და წარვიდა თვით სპარსეთად» 1).

როგორც მოხსენებულია, მირიანი დაჯდა მეფედ შვიდის წლისა. აღზრდილმა «მსახურებასა შინა კერპთასა და ცეცხლისასა», იმან შეამკო «კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრნა ქურუმნი». იმას უყვარდა ქართული ენა და ქართველნი, და თვით ქართველთ დიდი სიყვარუ-

---

1) იქვე, გვ. 59—61.

ლი და პატივისცემა ჰქონდათ იმისი. როდესაც მირიანს შეიქნა 15 წლისა, იმას მოუკვდა მეუღლე, ასული ასფაგურისა. მაშინ იმან მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლიოტორისა, სახელით ნანა». მირიანს ჰქონდა ხშირი ბრძოლა ჰერეთში და მოვაკანში სპარსებთან და იმათ მოკავშირე დურძუკებთან და დიდოებთან. «უფროსი ლაშქრობა იმისი—იტყვის ქართლის-ცხოვრება,—იყვის დარუბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი-ფართო და მერითმცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა». მირიანი შევიდა ოთხმოცს წელში, როდესაც აღესრულა იმისი მამა სპარსთა მეფე და ქასრეს მოადგილედ დაჯდა უმცროსი ძმა მირიანისა ბარტამი. მირიანი ითვისებდა მამის ტახტს. ის ამბობდა: «პირ-მშო შვილი ვარ და საუფლის-წულოდ მებოძნეს ქვეყანანი უცხონი... მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან, ამისთვის ჩემა არს საყდარი მამისა ჩემისა». ხოლო ბარტომი იტყოდა: «თუმცა პირ-მშო არს იგი, არამედ ნაშობი არს მხევლისა და ნაშობსა მხევლისასა ეყოფის სხვად რომელი მას მიჰხვედრია სამეფოისა».... შეკრიბეს ორთავე სპანი და მიეგებნეს ბრძოლად... ვითარცა იხილეს მოხუცთა და მარზაპანთა ვითარმედ მახვილი დაეცემის ურთიერთსა, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბჭედ, და დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა მათსა... მათ განბჭეს და მისცეს მეფობა სპარსეთისა ბარტომს; ხოლო მირიანს გულის-სადებლად მისცეს ბარტამისაგან ჯაზირეთი და შამისა ნახევარი და ადარბადაგანი, ესე უკელი ქართლსა, და სომხითსა, რანსა, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს» 1).

შესანიშნავია შემდეგი გარემოებანი, რომელთაც ქართლის-ცხოვრება გვიამბობს მირიანის დროს. ჩვეულებისამებრ ხაზარნი მოვლენ საბრძოლად დარუბანდს. მირიანი შევა მთაში ჯარით საშველად. ამ

---

1) ქართ.-ცხ. გვ. 60—62.

დროს მეფე გუთთა ურიცხვის სპით შედის საბერძნეთში. ბერძნის მეფე შემოიკრებს თავისს ძალას. მეფე გუთთა მოითხოვს თავის-თავ ბრძოლას კეისართან. ვერ ძალ-უდებს კეისარი ბრძოლად მისა. «ხოლო იყო მუნ ძე კოსაროს სომხეთა მეფისა, სახელით თრდატ, აღზრდილი საბერძნეთს და გოლიათი. იგი გამოარჩიეს ყოველთა სპათა ბრძოლად გუთთა მეფესა. გამოვიდა გუთთა მეფე და მიეტევნეს ურთიერთსა. სძლო თრდატ და ხელად შეიპყრა, და იოტეს ბანაკი გუთთა. ხოლო კეისარმან მისცა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს. გამოვიდეს სომხითს და გამოასხნეს სპანი ერისთავნი მირიანისნი. მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან სასართასა და მოიყვანა სპარსეთით თვისი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ. მან მოიტანა თავის-თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თვისი ცოლად და ქვეყანა ხუნანიდგან ბარდავამდე, მტკვარსა ორივე კერძო, და დაადგინა იგი მუნ ერის-თავად. უწყო ბრძოლად თრდატს. ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით მას ვერ ძალ-ედვის მირიან წინა-დადგომად, და მოვლის თრდატ ქვეყანა მისი. და ოდესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით, ვერ წინა-აღუდგის თრდატ, მოვლის სომხითი, ესრედ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა; და არავინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ ბრძოლით თრდატისა, და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქვეყანასა, და სძლო ყოველადვე ბრძოლთა მისთა».

ქართლის-ცხოვრების თქმით, სპარსეთის მეფის ბარტამის მოადგილე, მირიანის ძმის-წული, რომლის სახელიც არ არის აქ მოხსენებული, მიიწვევს მირიანს, «რათა შევკრბეთ და გარდავლოთ სომხითი, და შევიდეთ საბერძნეთად». მირიანი და სპარსთა მეფე გავლიან სომხეთს, სადაც ვერ წინა-აღუდგება იმათ თირდატი, შევლენ საბერძნეთში, ვერ წინა-აღუდგება იმათ ბერძენთ მეფე კონსტანტინე და

ეს უკანასკნელი დიდს მწუხარებას მიეცემა. ამ დროს კაცნი ღვთის-მსახურნი ურჩევენ კონსტანტინეს, რათა ნათელ-იღოს და წარიმძღვანოს ჯვარი, რადგანაც ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარმძღვანებითა ჯვარისათა სძლევენ მტერთა ზედა». კონსტანტინემ ნათელ-იღო და წარმოიმძღვანა სახე ჯვარისა და ეწყო სპარსთა ურიცხვთა სპითა მცირითა და აოტნა ბანაკი მათი და მოსრა სიმრავლე მათი; ივლტოდეს ორნი ძმანი მცირედითა-ღა მხედრითა, და მიუდგა უკანა კონსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა. სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი; ხოლო მირიან დაადგა ქართლად და განამაგრნა ციხე-ქალაქნი». უღონო ქმნილი და შეშინებული მირიანი მოითხოვს მშვიდობას. კონსტანტინე სპარსეთის მეფის კვლავ შიშის გამო დაეზავება მირიანს, გამოსთხოვს იმას მძევლად იმისს შვილს ბაქარს და დაამოყვრებს თირდატს და მირიანს, ესე იგი თირდატის ასულს სალომეს შეჰრთავს მირიანის შვილს რევს, განუწესებს საზღვარს საქართველოსა და სომხეთს შორის. «რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით, მოერთვიან რახსსა, ესე ქვეყანანი თრდატის დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკვარსა, მირანის კერძად დაყარნა და შუა-მდგომელ ექმნა მათ და წარვიდა».—«მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს, და აქვნდა ეგრისიცა, ეგრის—წყლამდე, და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასვა იგი უჯარმოს; რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისა. ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისასა, აქვნდა ქვეყანა, რომელი ზემოდ ვახსენეთ მიცემულად მირიანისგან, და იყო მუნ ერის-თავად». 1)

ასე მოქმედებდა და მოღვაწეობდა მირიანი, ვიდრე ის ქრისტეს

---

1) ქართ.-ცხ. გვ. 62—64.

სჯულს მიიღებდა. ქართლის-ცხოვრების თქმით, მირიანი აფუძნებს საქართველოში დინასტიას ხოსროიდებისას, ანუ უკედ ვთქვათ, სასანიდებისას. ქართველთ ერის-თავთ გამოთხოვით, ქასრე პირველი სასანიდი სპარსეთისა თვითონ დაჰსვამს იმას მცხეთაში მეფედ და სხვათა შორის სომხეთსაც დაუმკვიდრებს იმას. განსაკუთრებით ყურადღება ქასრესი მიქცეულია მცხეთაზე, «რამეთუ მცხეთა ყოველთა ქალაქთა უფროსად და უმაგრეს გამოარჩია მასლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა იპყრობდეს ყოველთა კავკასიელთა». მირიანი ქასრეს სიკვდილის შემდეგ ითვისებს სპარსეთის ტახტს. ის ხან-გრძლივ ებრძვის ჭერეთში და მოვაკანში და უფროსლა დარუბანდში ხაზართ, რომელნიც მოვიდიან და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო და მუნითმცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა». კონსტანტინე კეისრის ომში გუთთებთან მონაწილეობას მიიღებს სომხეთ თირდატი, რომელიც აქ თავს ისახელებს და შემდეგ ბერძნების ჯარის შემწეობით დაიჭერს თავისს სამეფოს და განდევნის სომხეთიდამ ასპათ ერის-თავთა მირიანისთაჲ. ასტყდება ბრძოლა მირიანსა და თირდატს შორის. გარდა ამისა მირიანი მიეკერძება სპარსეთის მეფეს, როდესაც ის საბერძნეთში შედის საბრძოლველად კონსტანტინესთან. ამ დროს კონსტანტინეს მომხრე არის თირდატი. კონსტანტინე მტერსა სძლევს და შემდე დაუზავდება მირიანს, დაამოყვრებს იმას სომხეთის მეფესთან, განუწესებს იმათ საზღვრებს და გამოსთხოვს მირიანს მძევლად იმისს შვილს ბაქარს....

ეს ნაამბობი ქართლის-ცხოვრებისა აღბეჭდილია იმავე თვისებით, რომელიც ჩვენ წინად რამდენჯერმე შევნიშნეთ. აქ ნამდვილი ფაქტი და ზღაპრული ამბავი ერთი მეორესთან შეკავშირებულია. აქ ერთის დროს შემთხვევა მიეწერება მეორეს დროს. აქ ზოგიერთი გარემოება, რომელსაც ჩვენი მატიანე მოიხსენებს და უცხო-ტომთ თქმულება კი არა, ეჭვ ქვეშ უნდა იყოს, თუმცა ის ისტორიის წინაამდეგს არას

წარმოგვიდგენს. შესაძლებელია, მაგალ., რომ მირიანი იყო სასანიდთაგანი, რომ ის საქართველოს მეფედ დაუსვამს სპარსეთის ხელმწიფეს, თავისის გავლენის დასამყარებლად კავკასიის მხარეში, რომ მირიანი სპარსეთის მეფის ძალით განაგებდა სომხეთს, რომელიც ხოსროს დიდის სიკვდილიდამ ვიდრე თირდატის გამეფებამდე, 27 წლის განმავლობაში, უპატრონოთ იყო დარჩენილი და თირდატის შემოსვლის დროს განდევნილ იქმნა. შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა უეჭველია, რომ არდაშირის მემკვიდრედ იქ დაჯდა 238 წელს იმისი შვილი შაბური პირველი, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ არ გამოსჩენია. ქართლის ცხოვრების თქმულება ამ საგანზე რომ ნამდვილი შემთხვევა იყოს, მაშინ — ცხადია ესა — ის მოხსენებული იქნებოდა უცხო ტომთ მწერალთაგან, მაგრამ ამ შემთხვევას არც ერთი მატიანე არ უჩვენებს 1). მოსე ქორენელი მოიხსენებს გაკვრით თირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთთებთან ანუ გოთებთან, რომელშიაც თირდატს უსახელებია თავი. ეს მომხდარა 281 წელს. დიოკლიტიანის დროს, 284 წელს, ჩამჩიანის თქმით, თირდატი გოთების მეფეს ჭრთჩეს შეებმის და მოჰკლავს იმას; ამითი დასრულდება ომი 2). გუთებს ანუ გოთებს ჰხადიან სკვათებად ანუ ინდო-ევროპელებად; იმათი ენა თავისის ლექსიკონით და გრამმატიკულის აგებულობით მიემსგავსება ნემეცურს და სპარსულს. ძველად გოთნი დამყარებულნი იყვნენ სკანდინავიაში და შვეციაში. შემდეგ სამის საუკუნის წინად ქრისტეს შობისა, იმათ დაუჭერიათ სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირები ბალტიის ზღვისა; აქედამ ისინი

---

1) Hist. de la Géor. I, p. 86 n. 3.

2) *Ист. Арм. Моис. Хор., стр. 145.* Hist. de la Géor. I, 86 n. 4.

გაბნეულან გერმანიისკენ და შავის-ზღვისკენ, საიდამაც ხშირად თურ-მე სცემდნენ დუნაის მხარეებს. ამათ ისე შეარყიეს რომი, რომ რო-მის იმპერატორებს ხარჯით უნდა მოესყიდათ იმათი მშვიდობა, რო-მელსაც ისინი ყოველსავე შემთხვევაში არღვევდნენ. ვალერიანის და გალლიანის დროს გოთებმა განვლეს ჰელლესპონტი, აოხრეს მცირე-აზია, დასწვეს ეფესსის ტაძარი და შევიდნენ თვით კაპპადოკიაში. თით-ქმის ყოველს რომის ბრძოლაში სპარსეთთან აუცილებელი იყო იმა-თი მონაწილეობა, რომელსაც ხან ერთს აძლევდნენ, ხან მეორეს. გო-თებში გაავრცელეს ქრისტიანობა მცირე-აზიიდამ და მეტადრე კაპპა-დოკიიდამ ტყვედ გაყვანილთა; ერთმა იმათგანმა, გოთის ეპისკოპო-ზმა ულფილამ, ნათესავით კაპპადოკიელმა, შეასუსტა იმათში კერპთ-მსა-ხურება, მოარბილა იმათი ზნეობა და მისცა იმათ ან-ბანი, რომელიც მიემსგავსებოდა ბერძნულს და ლათინურს და მიღებული იქმნა სხვა სვე-თების ტომთაგანაც. იმანვე გადმოსთარგმნა გოთურს ენაზე ძველი მცნება. გარდა ამისა გოთებს ჰქონდათ ისეთი სამოქალაქო წყობა, რო-მელზედაც შემდეგ დამყარდა გერმანიელების სჯულ-დება 1). —ქარ-თლის-ცხოვრება, როგორც სჩანს, მირიანის დროსაც და იმის წინა-თაც, ხშირად მოიხსენიებს ერთს ჩრდილო-ტომს, ხაზარებს. ვინ იყვ-ნენ ხაზარნი, რა დრომდამ არიან ცნობილნი, სად ცხოვრობდნენ, რა-რიგად და როდის მოაწყდნენ პირველად კავკასიის მთებს, ამაზე ჩვენ გვქონდა ვრცელი საუბარი 2); ამისთვის საჭირო აღარ არის, რომ ამ საგანზე სიტყვა გავჰვრცელოთ. ჩვენს მატიანეს ამ ტომზე ცნო-ლებით ეთანხმება უცხო-ტომთ თქმულება. ქართველებისა და სომხე-ბის გარდა ხაზარებს მოიწვევდნენ რომაელნი და სპარსნი თავიანთის

1) Hist. du B—Emp. III, 324—329. IV, 97 - 100.

2) «მნათობი», მარტი 1871 წ. გვ. 72—79.

ურთიერთის ბრძოლის დროს, და თვით ისინი, როდესაც უსაქმოდ შთებოდნენ, ხან აქ სცემდნენ, ხან იქ. ხაზარნი საშიშნი იყვნენ უფრო სპარსეთისათვის, რადგანაც ამათი მოხერხებული გზა სპარსეთის საზღვარს დასცქეროდა. ის მიემართებოდა დერბენდის მხარეს და, ქართლის-ცხოვრების შენიშვნით, უფრო «ფართო» და ადვილად გასავალი იყო, ვიდრე ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალანი, რომელიც ჩვენ «საქართველოს» პირველს რვეულში გვაქვს აწერილი 1). ქართველების» დარუბანდის კარი» უცხო ტომთ მწერალთაგან დიად ცნობილია: იმას უწოდნენ: რომელნი Pylae Albanicae, Pylae Casriae, სომხები ჩოგ-ანუ ჩორ, ბერძნები მურ 2). დერბენტის შესავალში აღმართული იყო ვრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწოდებოდა ვირაფარასად ანუ იბერიის ზღუდედ. ეს ის ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ უწოდთ კავკაზიის კედლად და, ახალის გამოკვლევით, როგორც ამას ჰმოწმობს თვით იმისი კვალი, აქამომდე დაცული, მიემართება 360 ვერსზე, და დერბენდიდამ მოყოლებული ერთის მხრით გადადის კავკაზიის იქით, მეორეს მხრით შედის საქართველოს საზღვარში 3). უეჭველია, რომ ეს ვრცელი ზღუდე უნდა იყოს აშენებული სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ტომთაგან. «საქართველოს მეფეებს, ბროსსეს შენიშვნით, დიად ხშირად ჰქონდათ ომიანობა დერბენდის მხარეს და ამისთვის იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩორისა ანუ მურისა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ» 4) დერბენდის ციხე-სიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან.

---

1) გვ. 82 – 83.

2) Brosset, Voyage archélog. 1-re rapp. p. 97.

3) *Исторія Груз. кн. Баратова. СПБ, 1865, I, стр. 36--37.*

4) Hist. de la Géor. I, 154 n. 2.

რომელსაც ის იყო სპარსების ხელში, ისინი იმას დიდ-ძალის გარნიზონებით სცვიდნენ იმას, რომ სპარსნი შეეკავებინათ 1).

ჩვენის ფიქრით, თირდატის ომი მირიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ რომ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობას: რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან; რომი ქომაგებს თირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხეთის დაჭერას; სპარსეთი ქომაგებს მირიანს სასანიდს. რომაელნი და სპარსნი ამ შემთხვევაში ეძიებენ თავისს ინტერესს, ესე იგი, ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებას აზიაში. ეს-კია, რომ ამ აზრს არ ეთანხმება სომხეთ გარდმოცემა, ვითომც საქართველო ექვემდებარებოდა თირდატს, ვითომც მირიანი იყო თირდატის სპათა უფროსი, ვითომც იმისის მზადების დროს საბრძოლველად სპარსეთთან, 296 წელს, იმან მიიხმო ალბანიის და იბერიის ჯარები 2). — ქართლის ცხოვრების თქმულება სპარსის მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუვეა. ჯვარის წარძღომამ აქ «ღვთის-მსახურთ გუნდთ რჩევით», დამარცხება სპარსთა და შემდეგ კონსტანტინესაგან ნათელ-ღება სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა მეფობის შემთხვევაა. როგორსათაც მსოფლიო ისტორია ამტკიცებს, ჯვარის ძალით სძლია კონსტანტინემ თავისს მტერს, მაგრამ ეს მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელს-იღო ბევრით შემდეგ ქართლის-ცხოვრებისაგან ჩვენებულს დროზე, ესე იგი თავისის სიკვდილის წინად 3). გარდა ამისა არც კონსტანტინე დიდს, არც იმისს პირველს შვილს

1) Lebeau, Hist. du Bas-Emp. VI, 291,317. VII, 269—270, 398—399.

2) Hist. de la Géor. I, 87 n. 4.

3) Hist. du B.-Emp. I, 89,96,328—329. Hist. de la Géor. I, 129 n. 2.

კონსტანტინე მეორეს არა ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან. თუმცა ეს უკანასკნელი მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ ამ მზადების დროს ის მოკვდა 1). ეს ბრძოლა იწყო მხოლოდ კონსტანტინე დიდის მეორე შვილმა კონსტანციმ 2). შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ქართველი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და ამისგამო იმან მიჰმართა კონსტანციის, კონსტანციმა დაამოუვრა ის თირდატს.—ამ დროს ჩვენს მატიანეში მოხსენებულია მირიანის ძე ბაქარი, ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად გაყვანილი. იმისის თქმით, შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა მირიანისაგან, «კეისარმან კონსტანტინემ გამოუგზავნა იმას ძე ბაქარ ნიჭითა დიდითა» 3). ეს იყო ის ბაქარი, რომელიც მირიანის მოადგილედ დაჯდა საქართველოში და მეფობდა 342 წლიდამ 364 წლამდე 4).აქ უნდა ვთქვათ,რომ არც ბაქარის შესახებ ეთანხმება ქართლის-ცხოვრება უცხო-ტომთ თქმულებას, რომელიც თუმცა მოიხსენებს «იბერიის მეფის ძეს ბაკურის», მაგრამ, როგორც სჩანს, ის სხვა ბაქარი უნდა იყოს. რუფინს გაუცვნია იერუსალიმში ბაკურისი, რომელსაც იმისთვის უამბნია ქრისტეს სჯულის დამყარება საქართველოში. რუფინის სიტყვით, ის ყოფილა დიად უმაწვილი, როდესაც ნინოს უქადაგნია ჩვენში ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაურის აღრეულობისგამო ის გასულა საბერძნეთში და აქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნდვია სასახლის მსახურთ-უფროსობა და პალესტინის გამგეობა. ის მოკლულ ქმნილა 394 წელს, მაშინ, როდესაც ის ბერძნების ჯარით თურმე ებრძოდა

1) Hist. du B—Emp. I, 343,344,379, 380—381.

2) Ibid. 381,402—412. 452—456.

3) ქართ.ცხ. გვ. 99.

4) Hist. de la Géor. I, 133.

ტირანს ევგენის. იმისს ახოვანებას დიდის ქებით მოისხენებენ იმ დროს უცხო-ტომთ მწერალნი 1).

დიმიტრი ბაქრაძე.

1871 წ. 25 დეკემბერს.

1) Ibid. 132 n. 3. Hist. du B-Emp. III, 337 n. 2; V,45,46,53.

საქართველო

მირიან მეფის დროს.

(გაგრძელება).

ქრისტეს აღსარება დამყარდა ჩვენში მირიან მეფის დროს... ვიდრე ამ საგანს გამოვიკვლევდეთ, უნდა მკითხველს მოვაგონოთ რაც რომ ზემოთ ვთქვით, ესე იგი, რომ ახალის მცნების შემოტანამდე ნინოსაგან, საქართველო ამ მცნების მისაღებად ძველადვე მზადდებოდა. ჩვენ საზღვრად, სომხეთში, ზემო-ქართლში და ეგრისში ანუ იმერეთში პირველის საუკუნიდამვე იყო დანერგილი ქრისტეს სჯული. წარმართობას მთლად აღიარებდნენ მხოლოდ ქვემო-ქართლი და კახეთი, თუმცა, ჩვენის ფიქრით, აქაც იყვნენ ახალის სარწმუნოების მიმდევნი. ასე იგულისხმება ზოგიერთი ადგილი ქართლის-ცხოვრებისა 1).

საქართველოს განმანათლებელს ქართლის-ცხოვრება უწოდს ნინოდ. ნინო იყო, ამბობს ქართლის-ცხოვრება, «კაპპადოკიით ქალაქით», თუმცა ის არ გვიჩვენებს იმისს ტომ-ნათესაობას 2). ნინოს მამად იცნობება «კაცი ვინმე მთავარი, შესაბამი მონა ღვთისა, სახელით ზაბულონ», დედად—სარა, დის-წული იერუსალიმის პატრიარქისა იობენალისა. ნინოს ნათესავათ ჰხადიდნენ თვით გიორგი მთავარ-მოწამეს, რომელიც ამ მიზეზის გამო საქართველოს გერბად არის მიღებული

1) ქარ-ცხ. გვ. 56,82,83.

2) *Ист. груз. церкви, стр.* 8 ქართ.-ცხ. 64.

და მთელს ჩვენს ტომში დიად პატივ-ცემული 1). ნინოს გარდა იმისს მშობლებს სხვა შვილი არ ჰყვანდათ, და «აღზარდა იგი დედამან მისმან მსახურებასა შინა გლახაკთასა, და ვითარ იქმნა ნინო ათორ-მეტიტისა წლისა მშობელთა მისთა განყიდეს მონაგები მათი და წარვიდეს იერუსალიმად». «შემდეგ ზაბულონ იჴუმნა ცოლისაგან მისისა და წარვიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათთან ველურთასა. დედა ნინოსი მისცა პატრიარქმა «გლახაკთა დედათა და წმინდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა, სომეხსა დვინელსა,» რომელიც ორის წლის განმავლობაში ამტკიცებდა იმას ქრისტეს სჯულში. ნინო უმაწვილობითვე დაადგა ქრისტეს სჯულის გავრცელების ასპარეზს. ნინო გავიდა იერუსალიმიდამ ახალს რომში ანუ კონსტანტინეპოლში, სადაც გაჰყვა «დედაკაცსა ვისმე ეფესით მოსრულსა ელენე დედო-ფლის სახილველად და სიტყვის-გებად ქრისტესთვის წინაშე მისსა». აქ იმას შეჰხვდა «დედოფალი ვინმე და ტომი სომეხთა მეფეთა, რიფსიმე და დედა-მძუძე მისი გაიანე, რომელნი იყოფოდეს მონასტერსა შინა ქალწულთასა და მომლოდნე იყვნენ იერუსალიმით ნათლის-ღებასა». ნინომ დაჰყო აქ ორი წელი და «ნათელ-სცა რიფსიმეს, გაიანეს და სხვათა სახლეულთა მისთა, რიცხვით ორმოცდა-ათთა სულთა». ამ დროს კეისარი ეძიებდა «ქალსა ქმნულ-კეთილსა და შვენიერსა ცოლად მისსა». იმას შეესმა რიფსიმეს მშვენიერება და ისურვა იმასთან შეუღლება, რიფსიმე და სხვანი დედანი ფარულად განივლტვნენ და შევიდნენ სომხეთის სატახტო ქალაქში დვინში. აქ დაესახლნენ «ტალავარსა მათ შინა საწნახელთასა და იზრდებოდეს შუნ ხელთ-საქმისა თვისისა განვაჭრებითა». კეისარმა სცნა რა რიფსიმეს ყოფნა სომხეთში, მოსთხოვა იგი თირდატს მეფეს. თირდატმა გამოსძებნა ისა და თვითონ ისურვა იმისი შერთვა. რიფსიმე ურჩ-ექმნა და ამისგამო «იწამა მის მიერ წამები-

3) *Ист. груз. церкви, стр. 15*

სა ღვაწლითა, მისთანა გაიანეცა და სხვანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ-არს, იტყვის ქართლის-ცხოვრება, წიგნსა მას წამებისა მათისასა, მოქცევასა შინა სომეხთასა, ხოლო რომელნიმე მათგანნი დაიმალნენ და ივლტოდეს, რომელთა თანავე წმინდა ნინო დამალულ იქმნა ეკალთა შორის ვარდისათა». ქართლის-ცხოვრების თქმით აქ ნინოს მოესმა ხმა: «აღსდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკ ყოვლად არა». ნინო შეუდგა გზას, და მივიდა ორბანთად, სომხეთისავე საზღვრად, სადაც იმან «დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა». გაზაფხულს ნინო ისევ გაემგზავრა და მივიდა ჯავახეთს, «სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა, გარდამომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანი». აქედამ «იხილნა მთანი ჩრდილოისნი, სავსენი თოვლითა და ჭაერითა სასტიკისათა, და დაჰყო მუნ ორ დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზეთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა, და მწყემსნიცა იყვნენ ადგილსა მასვე, ხადოდენ იგინი შემწედ და მფარველად მათდა ღმერთთა მათთა, არმაზს და ზადენს». ნინომ გამოჰკითხა სომხურის ენით იმათ ვინაობა და იმათ დაუსახელეს სხვათა შორის ქალაქი მცხეთა, «სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ». მოსეს სიტყვით, «ნუნეს ემოსა ლიტონი სამოსელი, ის იყო უცხო სოფელში, განშორებული ყოვლისავე სოფლეულისაგან, მიმსჭვალული ჯვარისადმი, გართული დღე-ყოველ სიკვდილში, აღმსარებელი სიტყვითა სიტყვისა ღვთისა და დაგვირგვინებული თუმცადა სისხლის გვირგვინით. გავბედავ და ვიტყვი — განაგრძობს მოსე, — რომ ნუნე შეიქნა მოციქულ» 1). მუდამ მმარხველი და მხურვალე მლოცველი, ნინო ჰხედავდა ჩვენებებს. ის იკვებებოდა საზრდელით, რომელსაც უცხოთ და მგზავრთ გამოსთხოვდა 2). ამის სასთაუ-

1) *Исторія Арменіи стр. 153.*

2) ქართ.-ცხ. გვ. 71.

ლი იყო ხშირად ქვის ლოდი 1), თავ-შესაფერი თვით ბუნება: სა-წნახელი 2), მაყვლის ქოჩი 3) და სხ. ნინო უწოდდა თავის თავს რომის ტყვედ 4). თავისს მოგზაურობაში ის ხან და ხან მსვლელობდა მარტო და «ნახვიდა ჭირთა დიდთა გზათაგან და შიშთა დიდთა მხეცთაგან» 5)... ქართლის-ცხოვრების თქმით ფარავანიდამ დაწყობილი ნინო მიჰყვა მდინარეს მტკვარს და შევიდა «ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, და შევიდა უბანსა ურიათასა, რომელთა ზრახვიდა ენითა ებრაულითა. მუნ დაჰყვნა თვისა ერთისა დღენი და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქვეყნისასა». აქედამ ნინო გაჰყვა «ერსა დიდსა სიმრავლით წარმავალსა დედა-ქალაქად სამეფოდ მცხეთად მოვაჭრებად და ზორვად წინაშე არმაზ ღვთისა». მცხეთაში ნინომ დაისადგურა «წიაღ მოგვთა, სიდსა მას ზედა, სადა იხილა მოგობა ცეცხლის-მსახურთა მათ-ერთა და საცთური და სტიროდა წარწყმედასა მათსა და ილოცვიდა უცხოებასა თვისსა». აქ ნინო შეითვისა «დედა-კაცმა ვინმე, ცოლმა მეფის სამოთხის მცველისამან, სახელით ანასტასიოს, რომელთანაც დაჰყო ცხრა თვე. შემდგომად ცხრათა თვეთა ჰპოვა გარეგნით ზღუდეთა მათ ქალაქისათა ქოჩი ერთი ბრწმალი, სახედ ტალავარისა მცირისა, მაყვალთა მიერ შემზადებული, და ჰყო იგი საყოფელად თვისად და ალმართა მუნ შინა ჯვარი მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა, რომლისა წინაშე განათევნ იგი ღამესა მარადის მღვიძარებითა და აგრეთვე შეალამებს დღეთა დაუცხრომელად ლოცვი-

1) იქვე, გვ. 72.
2) იქვე, გვ. 69.
3) იქვე, გვ. 77,83.
4) იქვე, გვ. 76,81,83,84,98.
5) იქვე, გვ. 73.

თა, მარხვითა და ვედრებითა ღვთისათა, და განკვირვებულნი სიმრავლესა ზედა ღვაწლთა მისთასა მსასურებდეს მას მეუღლენი იგი მცველნი სამოთხისა მის მეფისანი». აქ ურიის მღვდელი აბიათარ და ასული იმისი სიდონია და მათთანა სხვანიცა დედანი, რიცხვით ექვსნი, «დაემოწაფნეს სწავლასა წმინდისა ნინოსსა, თვინიერ ნათლის-ღებისა, რამეთუ არა იყო მას ჟამსა მღვდელი, რათამცა ნათელ-ეცა მათ; და იყვნეს იგი ფარულად მოწაფე მისი, რამეთუ რეცა-თუ მიზეზითა წამალთა სმარებისათა მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განათავისუფლნა უძლურებათაგან მათთა„... «და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაიცა განაცხადა ქადაგება და დაიმოწაფნა მრავალნი». ამ დროს ნინომ განკურნა სხვათა შორის მოგვი მთავარი სპარსი და აგრეთვე დედოფალი ნანა «სენისაგან ფიცხელისა, დიდისა და მწარისა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო». «მიერიდგან შექმნა იგი დედოფალმან მეგობრად თვისად შინაურად და მარადის ჰკითხავნ და გამოიწვლილავნ სჯულსა ქრისტესსა, და იქმნეს მოგვი მთავარი სახლეულით და ერითურთ მისით და თვით დედოფალი მორწმუნენი და იცნეს ღმერთი ჭეშმარიტი». «ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმინდა ნინო და არავინ აუწყებდა, თუ «ვინ ვარ, ანუ სადათ მოვალ», არამედ ტყვედ იტყოდა თავსა თვისსა». «მაშინ მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მარადის ჰკითხავნ ურია ყოფილსა მას აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყოველსა». «აქუნდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა, ამისთვის რომელ ესმოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი საბერძნეთით და სომხითით, და არად დააბრკოლებდა ქადაგებასა ნინოსსა და მოწაფეთა მისთა».

«დღესა ერთსა ზაფხულისასა, თვესა ივლისსა, განაგრძობს ქართლის-ცხოვრება, განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუხნარით კერძო,

და მოუსდა უჩინო იგი მტერი ბოროტი, ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყვარული კერპთა და ცეცხლისა; და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა, მახვილით მოწყვეტასა ყოველთა ქრისტიანეთასა». ამ ჟამად, რომელსაც მეფე «აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა, შუა სამხრის ოდენ, დაუბნელდა მზე და იქმნა ღამე ბნელი. განიბნივნეს ურთიერთარს მხლებელნი მისნი და დაშთა მეფე მარტო, და იბრძოდა მთათა მაღნართა, შეშინებული და შეძრწუნებული. და ვითარცა მოეგო თავისა ცნობასა, განიზრახვიდა ესრედ გულსა შინა თვისსა: აჰა ესერა ვხადე ღმერთთა ჩემთა, და არა ვპოვე ჩემზედა ლხინება. აწ რომელსა ქადაგებს ნინო, ჯვარსა და ჯვარცმულსა, და ჰყოფს კურნებათა მისითა სასოებითა, არამცა მალედვა სხნა ჩვენი ჭირისა ამისგან. ანუ თუ ჩემთვის ოდენ არს ჭირი ესე. ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო მელი ჯვარისა და თაყვანის ვცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსსა სჯულსა ზედა რომთასა». ესე ყოველი რა წარმოსთქვა, განთენა და გამოუბრწყინდა მზე, და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან, დადგა მას ადგილს, განიპყრნა ხელნი აღმოსავლით და თქვა: «შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, ღმერთო, რომელსა ნინო იტყვის. აჰა ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ლხინება და მიახლება შენდა. უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართო მელი ჯვარისა...» 1) «და იხილა ერმან მან ნათელი და გამოერთნენ ერი განბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა:» მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება ყოველმან ერმან». განვიდეს დედოფალი და ყოველი ერი მიგებებად მეფისა, ხოლო ნინო დადგრომილ

1) იტყვიან, ვითომც ერთი ძველი მცირე ეკლესია, რომელიც თხოთისის მთაზე დგას და მტკვარს დასცქერის, ამ შემთხვევის სახსოვრად იყოს აშენებული.

იყო ლოცვასა მწუხრისასა, შაყვლოვანსა მას შინა, ჩვეულებისაებრ თვისისა, ჟამსა ოთხსა, და მის თანა ორმეოც და ათი სული. და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, აღიძრა ქალაქი, და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: «სადა არს დედა-კაცი იგი უცხო, რომელ არს დედაი ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი». მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი. მივიდა და გარდაიჭრა სახედრისაგან და ეტყოდა ნინოს: «აწ ღირს მყავ სახელის-დებად სახელისა ღვთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა», ხოლო წმინდა ნინო ასწავებდა და მოწაფითურთ თვისით ქადაგებდა ერსა მას შინა დღე და ღამე დაუცხრომელად და უჩვენებდა გზასა ჭეშმარიტსა საცხოვრებლისასა.

ამ დროს მირიანმა აცნობა საქმის გარემოება კონსტანტინე იმპერატორს და მოსთხოვა მღვდელნი. კონსტანტინე და დედა იმისი ელენე აღივსნენ სიხარულით. იმათ წარმოუგზავნეს მირიანს «მღვდელი ჭეშმარიტი, იოანე ეპისკოპოზი და მისთანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი, ჯვარითა და ხატითა მაცხოვრისათა». მირიანმა შემოჰკრიბა მცხეთას ერის-თავნი, სპასალარნი და ყოველნი პირნი სამეფოსანი. თავდაპირველად ნათელ-იღო მეფემ «სეფე-ს ქვეშე წმინდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალმა და შვილთა მათთა ხელთა ქვეშე მათ მღვდელთასა და დიაკონთასა». აკურთხეს მდინარე მტკვარი და ეპისკოპოზმა «მიწურვით ხიდის-კარისა მოგვთასა ნათელ-სცა წარჩინებულთა ერთი-ერთისა, და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლავ. ხოლო ქვემოდ მისსა, მდინარისავე პირსა, ორნი იგი მღვდელნი და დიაკონნი ნათელ-სცემდეს ერსა... და ესრედ ნათელს-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან. ხოლო არა ნათელს-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არამედ დადგეს ბნელსა შინა ჟამსა ოდენ და ურიათა მცხეთელთა არავე ნათელს-იღეს, გარნა ბარაბიანთა ორმეოც და ათმან სახლმან. ამისთვისცა დიდ-იქმნეს წინაშე

მეფისა და მიუბოძა დაჲსა, რომელსა ჰრქვიან ცისკ-დიდი. არა ნათელს-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან». მირიანის მოთხოვნით კონსტანტინემ წარმოუგზავნა იმას მელი-ცხოველის ნაწილი, და განძითურთ დიდით ხურონი და მღვდელნი მრავალნი, «რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელ-სცემდენ ერთა. ამ თხოვნით გაგზავნილი იყო იოანე ეპისკოპოზი. შემოვიდნენ რა ერუშეთს იოანემ «დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ეკკლესიისა, დაუტევნა განძნი და სამსჭვალნი უფლისანი და წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკკლესიასა, და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი». მირიანმა იწყო აღშენება მცხეთას, თვით იმ ადგილს, «სადაც იყვნენ მაყვალნი ნინოსნი», საეპისკოპოზო ეკკლესიისა, რომელი განასრულა ნინოს სიკვდილის შემდეგ 1). მირიანმა აღმართა თაყვანის-საცემლად ერისათვის ჯვარნი მცხეთის ეკკლესიაში, მცხეთის პირის-პირ ჯვარის მთაზე, თხოთის მთაზე და სოფელს უჯარმას 2). შემდეგ ამისა მირიანმა განიზრახა მახვილით მოქცევა მთიულთა და ხავისის სიძის ფეროზისა. ნინომ არ მისცა ნება მახვილის მოხმარებისა. იმათ მოსაქცევად გავიდა თვით ნინო, რომელსაც მირიანმა გააყოლა იოანე ეპისკოპოზი და ერთი ერის-თავი. «მოვიდეს და დაადგეს წობანსა და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვისა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოველთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ, ხოლო მათ არა ინებეს ნათლის-ღება. მაშინ ერის-თავმან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი». «გარდმოვიდეს და დაადგეს ჟალეთსა და უქადაგეს ერწოთიანელთა, და მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუ-

1) ქართ-ცხ., გვ. 100.

2) Hist. de la Géor. I, 123—124 n. 3. Add. et Eclairc. à l'Hist. de la Géor.—Chronique armén., p. 30.

მეთს და სხვანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუ-მძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღებე. ამისთვის-ცა წარჰბეს ეგინიცა და შესცდეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქ-ცივნა აბიბოს, ნეკრესელ ეპისკოპოზმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე. ხოლო წმინდა ნინო წარემართა წარ-სვლად რანს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიესლა კუხეთს, და-ბასა ბუდისასა, დაყვნა მუნ დღენი და მოვიდოდეს მისსა კახეთით ჰკითხვიდეს და ადიდებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა მუნ და შევედრა სული მეუფესა ცათასა, ქართლად მოს-ვლითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგან სა-მას ოცდა თვრამეტსა წელსა. მაშინ შეიკრიბეს ორნივე ქალაქნი, მცხე-თა და უჯარმა და ყოველი ქართლი. მოვიდეს და დაიმარხეს მკუდრივ შემოსილი გვამი მისი ადგილსავე ზედა ჭყურწთისასა, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან, სიმდაბლისათვის ჰქმნა ეს წმინდამან; რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო...» 1).

საქართველოს მოქცევას გვიამბობენ როგორათაც ჩვენნი მწერალნი, ეგრეთვე უცხო-ტომნი: სომეხი მოსე ქორენელი და ბერძნის საეკლე-სიო ისტორიკნი, ანუ თანამედროვენი ნინოსნი, ანუ იმისს ახლო დროს მცხოვრებნი. რუფინი, რომელიც კონსტანტინე დიდის დროს ცხოვრობ-და, ვრცლად აგვიწერს ამ საგანს და ამასთანავე შენიშნავს, რომ ეს გარემოება მიამბო იერუსალიმში ივერიის მეფემ ბაკურმა. კონსტან-ტინეს შემდეგ სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტი და სხვანი ქრის-ტეს სახარების გავრცელებას ჩვენში მოგვითხრობენ ქართლის-ცხოვ-რების თანახმად, თუმცა ამ დროს საქართველოს მეფედ ისინი მოი-ხსენებენ ბაკურის, და არა მირიანს 2). ჩვენნი მწერალნი არიან: «სალო-

1) ქართლ-ცხ. გვ. 64—99.

2) Hist. de la Geor. I, 132 n. 3. Исторія груз. церкви Іоссе-ліани, стр. 18.

მე, «უჯარმელი დედოფალი, მირიან მეფის ძის რევის მეუღლე, ასული ორდატ სომეხთა მეფისა,» აბიათარ მღვდელი ურიათაგანი და სიდონია აბიათარის ქალი. აბიათარ და სიდონია იყვნენ, როგორც ამას თვითონვე იტყვიან და როგორც ეს ზემოდ ქართლის-ცხოვრების გამონათქვამიდამ სჩანს, პირველნი ნინოს მოწაფენი. სამივეს თქმულება ჩართულია ქართლის-ცხოვრებაში. ის მთლად იმათ ეკუთვნის თუ არა არ ვიცით. ეს-კია, რომ აქ ადგილ-ადგილ ამოვიკითხავთ იმ გვარ სიტყვებს, რომელნიც შემდეგ დროს მოგვაგონებენ; მაგალ. სალომე სამეფო მტილის ანუ «სამოთხის» აღწერაში ამბობს:: «სადა იგი აწ არს სვეტი ღვთივ-აღმართული და ეკკლესია საქათალიკოზო» 1)... «განაწესეს ჯვარისა მსასურება... ყოველმან ქართლმან დღეინდელად დღემდე»2); «რომელნიმე მთიულთაგანნი უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ 3) ეპისკოპოზმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე» 4)—ვინ იყო ნინო ამაზე ქართლის-ცხოვრების ცნობის გარდა ჩვენ სხვა ცნობა არა გვაქვს და ამისთვის დაჭეშმარიტებით ვერას ვიტყვით. ბერძნების მწერალნი იმისს სახელსაც არა ისხენებენ. ისინი იმას მხოლოდ იბერიის ტყვედ ჰხადიან 5). თვით ნინო ტყვედვე უწოდს თავისს თავს. მოსე ქორენელი იმას სახელ-სდებს ნუნედ 6); იტყვიან, ვითომც ნუნედ ანუ ნონნედ იწოდებოდნენ საზოგადოდ ეგვიპტის მონაზონნი და უნდა ვიფიქროთ, რომ აქედამ არის წარმომდგარი სახელ-წოდება ნინო 7) ქართლის-ცხოვრების ცნობა ნინოს

1 ქართ.-ცხ. გვ. 76.

2) იქვე, გვ. 95,97,

3) ცხოვრობდა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში.

4) იქვე, გვ. 98.

5) Ист. груз. церкви Іоссел. стр. 18. Hist. du B—Emp. I, 292 n. l.

6) Ист. Арм., стр. 152—153.

7) Ист. груз. церкви, стр. 8 примѣч. 13.

სამშობლო ადგილზე კაპპადოკიაზე შესწყნარებელი ცნობაა. კაპპადოკია მდებარეობდა თავრის მთაში, შავის ზღვის პირად, და იმისს საზღვრებში ითვლებოდა თვით მცირე-სომხეთი. კაპპადოკია დასახლებული იყო ხემიტის ნათესავისაგან. აქ ძველად გავრცელებული იყო სირიული ენა და ნინევიის და ბაბილონის სწავლა—ხელოვნება, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ დაიმონავა ბერძნულმა ენამ და განათლებამ 1). კაპპადოკიაში ნინოს დროს ქრისტეს სჯული დამყარებული იყო. აქ არ შეიძლება უყურად-ღებოდ დავტოვოთ ერთი ღირსსახსოვარი შემთხვევა. ეს ის შემთხვევაა, რომ კაპპადოკიით გაყვანილთ ტყვეთ საზოგადოდ დიაღ დიდი სარგებლობა მიაგეს ახალ მცნებას: იმათ გაავრცელეს ქრისტიანობა თვით გუნნებში; გოთის პირველი ეპისკოპოზი ულფილა, რომელიც ჩვენ ამ სტატიაში ზემოდ მოვიხსენეთ, იყო კაპპადოკიაში დატყვევებული.—ჩვენის აზრით, ნინო მთამამავლობით უნდა ყოფილიყო ან სომეხი, ან სირიელი. ნინო საუბრობდა რამდენსამე ენას. იმან იცოდა სომხური, რომელიც, ქართლის-ცხოვრების თქმით, იმას ესწავლა ნიაფორესაგან 2), ბერძნული 3), რომაული 4), და ებრაული 5). ის იყო დახელოვნებული მკურნალობაში 6) როგორც მოვიხსენეთ კიდეც, ნინო იყო აღზდილი დვინელის სომხის ნიაფორესას; იმისნი დაახლოვებულნი მეგობარნი იყვნენ: «დედოფალი ვინმე სომეხთა მეფეთა რიფსიმე და დედა—მძუძე მისი გაიანე». ქარ-

1) «საქართ.» პირ. რვეული, გვ. 34; Asie Mineure, t. II, 182, 433.

2) ქართ.-ცხ. 71.

3) იქვე, გვ. 76.

4) იქვე, გვ. 64,72.

5) იქვე, გვ. 73,77,

6) იქვე, გვ. 77,82,103,104,109.

თლის-ცხოვრების ცნობითვე ნინო კაცისხანი ცხოვრობდა სომხეთში. სომხეთიდამვე შემოვიდა ის ქართლში და მცხეთაში, იმისი გზა იდო ჯავახეთზე და ტაშის-კარზე, ანუ ახლანდელს ბორჯომის ხეობაზე.— სომხეთის გავლენა ქართლ-კახეთის გაქრისტიანობაზე ცხადი საქმეა, თუმცა ამას ჩვენი მატიანე ჰმალავს. ამას გვიმოწმებენ როგორათაც საქართველოს ჩასახებით განათლება ახლო დროს, შემდეგ სომხეთის განათლებისა, აგრეთვე სხვა ფაქტები. სომხეთის მეფემ თრდატმა გრიგოლ-განმანათლებლის ხელით ნათელს-იღო, სენ-მარტენის სიტყვით 276 წელს 1), ბროსსეს ფიქრით კი 301 ანუ 311 2). მირიანმა და იმისს ქვეშევრდომთ მიიღეს ქრისტიანობა მეოთხე წელს შემდეგ ნინოს მოსვლისა მცხეთას. ამ წელს სომხის ისტორიკი ჩამჩიანი უჩვენებს 317, ბერძნის მწერალი ბარონიუსი 311 ანუ 327; ბროსსე ნინოს მოსვლას მოიხსენებს 325 წელს, და მირიანის ნათელ-ღებას 328 წელს 3). ამ შემთხვევისთვის, რომელსაც აქ შევეხებით, ჩვენს აზრში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგს გარდამოცემას მოსე ქორენელისას: მოსე ჯერ მოკლედ მოიხსენებს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმისს ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მირიანის განზრახვას, რომ იმან შიშით შერყეულმა სიზმრის გამო ნადირობის დროს თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთს, მასუკან ამ სიტყვებით განაგრძობს: მაშინ ნეტარმა ნინომ მოითხოვა სანდო კაცნი და წარგზავნა იგინი წმინდა გრიგოლთან საკითხავად, თუ რა გვარ იმოქმედოს იმან, რადგანაც იბერიელთ ნება-ყოფლობით მიიღესო ქადაგება სახარებისა. ნინომ მიიღო ბრძანება, რომ თვით გრიგოლის მიბაძვით დაამხოს კერპნი და აღმართოს ნიშანი პატიოსნისა ჯვარისა, ვიდრე უფალი იბერიელთ განსაგებელად

1) Hist. du B—Emp. I, 76.
2) Hist. de la Siounie, I. 14. Hist. de la Géor. I, 128 n. 4.
3) Hist. de la Géor. I, 7 n. 2, 128 n. 4.

მწყემსს მოავლენდეს, ნუნუმ მეისვე შემუსრა ჭექა-ქუხილის მპყრობელი არმაზი, რომელიც ქალაქს გარედ დიდის მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისამებრ მცხოვრებნი თაყვანს-სცემდნენ არმაზს ყოველ—დღე განთიადისას, თავიანთის სახლის სართულებიდამ, და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდინარეს და ტაძრების წინ დაჰკლავდა მსხვერპლს. სატრაპნი (დიდ-კაცნი) ქალაქისანი ადგნენ და იტყოდნენ: «ვისდა უნდა თაყვანი-ვცეთო ნაცვლად კერპთა». სცნეს, რომ «ქრისტეს ჯვარის ნიშანსაო». გათალეს იგი და აღმართეს ქალაქის აღმოსავლეთად უცხო ქედზე, რომელსაც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათენდა დღე და ყოველთ მცხოვრებთ თაყვან-სცეს მას, როგორათაც ჩვეულება მოითხოვდა 1). გარდა ამისა სტეფანე ხსენებული გვიამბობს, რომ წმინდა გრიგოლ ეკკლესიების სასწავლებლად ხშირად მოგზაურობდაო იბერიაში და ალოვანელებში, თვით მასკუტებში და მასსაგეტებში 2). ზოგიერთნი ჩვენნი და უცხო-ტომთ მწერალნი იტყვიან, რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლად მირიანის დროს საქართველოში მოვიდაო ანტიოქიის პატრიარქი ესტატე. ესტატე ანტიოქიის პატრიარქად იყო 325 წლიდამ ვიდრე 331 წლამდე. ამ დროს იმას ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კონსტანტინე დიდმა ის განდევნა. ამტკიცებენ, ვითომც კონსტანტინემ წარუგზავნა მირიანს, იმისის თხოვნით, ესტატე ანტიოქიელი ღვდლებითურთ, ვითომც მირიანმა და ყოველთა ქართველთა ნათელ-იღეს ხელითა ესტატე ანტიოქიის პატრიაქიისათა. სენ-მარტენის ფიქრით, ესტატეს მოსვლა საქართველოში უნდა მომხდარიყო 331 წლის შემდეგ, ბროსსეს აზრით კი 325 წელს 3). ბროსსესაგან ნაჩვენები დრო ის დროა,

1) Ист. Арм. Моис. Хор. 153.

2) Hist. de la S. I, p. 11.

3) Hist. de la Géor. I, 118 n, 3,128 n. 4. Lebeau, Hist. du B—Emp. I, 298.

როდესაც, იმისის თქმითვე, ნინო შემოსულა მცხეთაში, და ამისთვის თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ არის, არც ბროსსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი. თუ ჩვენ იმაზე დავემყარებით, რომ ნინო მოვიდა მცხეთას 325 წელს და მირიანმა ნათელ-იღო 328 წელს, მაშინ ესტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომხდარიყო. ესტატეს მოსვლაზე ჩვენ უფრო ამისთვის შევდეგით, რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქართველოს მდგომარეობასთან: ვიდრე საქართველოში საკუთარი საპატრიარქო ანუ საქათალიკოზო დაწესდებოდა, მეხუთის საუკუნის გასულს, გახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს. ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ—მთავარი, რომელიც ყოველთვის ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩევოდა და გამოიგზავნებოდა აქ 1).

დიმიტრი ბაქრაძე.

1871 წ. 25 დეკემბერს.

---

1) Hist. de la Géor. I, 191 n. 192 n. 2; II. 2 livr. p. 442.